ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3467085

ნომერი: AR1530566

თარიღი : 07.08.2017

გაცემის თარიღი : 14.08.2017

გაცნობის თარიღი : 14.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

# მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1530566 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, დანართის სახით წარმოდგენილი ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.002.010-ის მიმდებარედ) გასხვისებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
არქიტექტურის სამსახური, არ არის წინააღმდეგი გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, თქვენს მიერ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.002.010-ის მიმდებარედ) გასხვისებასთან და შემდგომში მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანებასთან დაკავშირებით.
ხოლო, ვინაიდან ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულისთვის (საკადასტრო კოდი: #01.11.17.002.010) დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია შესაბამისი მშენებლობის ნებართვა, აღნიშნულის განხორციელების შემდგომ, საჭირო იქნება ცვლილება შევიდეს ყველა ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში რომელიც გაცემულია მოცემული საკადასტრო ერთეულის მიმართ.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.